საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№ 29/13

„01“ აპრილი 2013 წ.

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი
კავშირის თავმჯდომარეს ქალბატონ მაყვალა გონაშვილს.

შემოწმება ჩაუტარდა ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, მაჩაბლის ქუჩა №1/6-ში მდებარე სამ სართულიან, ნახევრადსარდაფისა და მანსარდის მქონე საცხოვრებელ სახლს, იგი აგებულია XIX საუკუნის ბოლოს. შენობა კონსტრუქციულად მზიდკედლებიანია, ნაშენი წითელი აგურის წყობით, კირისა და ქვიშის ხსნარზე. სართულშუა გადახურვებად გამოყენებულია ხის კონსტრუქციები.

საცხოვრებელი სახლი იმყოფება დამაკმაყოფილებელ ტექნიკურ მდგომარეობაში, საძირკვლების არათანაბარი ჯდენები და კონსტრუქციული სახის დაზიანებები არ აღენიშნება.

დამკვეთის სურვილის საფუძველზე შ.პ.ს. ”ემ-ჯი სტუდიო”-ს მიერ დამუშავებულია პროექტის არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილები. პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი სახის ცვლილებები, კერძოდ:

- ფასადზე ”ა” ღერძის გასწვრივ ”1”-”2” ღერძებს შორის იჭრება ფანჯრის ღიობის რაფისქვეშა წყობა ქუჩის ნიშნულამდე (-0.55) და ეწყობა ნახევრადსარდაფში ჩასასვლელი კიბე.

აღნიშნული საკითხის შესახებ შ.პ.ს. ”მონოლითი” გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი კონტრუქციული ნაწილის მიხედვით შესრულებული კიბის მოწყობა შესაძლებლად მიგვაჩნია. ფანჯრის ღიობის ჩაჭრა შესაძლებელია, რაიმე დამატებითი ღონისძიებების გარეშე.

პროექტის მიხედვით ჩატარებული სამუშაოები არ გამოიწვევს შენობის სიმტკიცის შესუსტებას.

შ.პ.ს. „მონოლითი“-ს
დირექტორი /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი /მ. საველიძე/